

ინსტიტუტების იმპორტი საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობების სფეროში

ლელა ჯამაგიძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასისტენტ - პროფესორი
lela.jamagidze@tsu.ge

სტატია ეხება სავაჭრო პოლიტიკის რეფორმას, რომელიც ეკონომიკური რეფორმების უმნიშვნელოვანესი ნაწილია და ის ხშირად ინსტიტუტების იმპორტს უკავშირდება (Rodrik, 2000; 2002). ინსტიტუტების იმპორტი/ექსპორტი ღრმა სავაჭრო ინტეგრაციის განუყოფელი ნაწილია. მისი სამუშაოებით აღმოიფხვრება ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში არსებული განსხვავებები (Martin & Kim, 2015, 369). როდესაც ღრმა რეგიონულ სავაჭრო ინტეგრაციაში ჩართული ქვეყნები ეკონომიკური და ინსტიტუციური განვითარების თანაბარ დონეზე არ იმყოფებიან, უფრო სუსტი ქვეყანა განვითარებული სავაჭრო პარტნიორის ბაზარზე წვდომით ინტერესდება, ხოლო ეს უკანასკნელი თავისი მარეგულირებელი რეჟიმების საზღვრებს გარეთ გავრცელებას იწყებს. მაგალითად, ამ ტიპისაა ევროკავშირის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები. ევროპის ბაზრებთან ინტეგრირება მის პარტნიორ ქვეყნებს ისეთ ეკონომიკურ უპირატესობებს სთავაზობს, როგორიცაა დიდი მოცულობის ბაზარი მაღალმსყიდველუნარიანი მომხმარებლით, სტაბილურ და პროგნოზირებად სავაჭრო პარტნიორთან გრძელვადიანი ურთიერთობების შესაძლებლობა და სხვა. დღესდღეობით ევროკავშირი ფლობს მნიშვნელოვან ძალაუფლებას (Meunier & Nicolaiadis, 2006) და მას სამეზობლო რეგიონში ავრცელებს კიდევ. ეს კარგი მმართველობის მოდელის გატანით ხდება (რომელიც განსხვავდება გაფართოების მოდელისგან, რასაც ევროკავშირი გასაწევრიანებელ ქვეყნებთან მიმართებით იყენებდა). ევროკავშირი დაინტერესებულია, რომ თავის საზღვრებთან ხელი შეუწყოს მშვიდობის, სტაბილურობისა და კეთილდღეობის დამკვიდრებას კარგი მმართველობის (good governance) შესაბამისი ნორმებისა და პრინციპების ექსპორტით (Börzel & Risse, 2004). ეს მიმდებარეობს უკავშირდება საკანონმდებლო ნორმების მიღებას, სექტორული პოლიტიკის ცვლილებებს და სამამულო მართვლობითი სტრუქტურების გარდაქმნას (Börzel & Risse, 2011, 7).

საკვანძო სიტყვები: ქართული ინსტიტუტების იმპორტი, სავაჭრო პოლიტიკა, ინსტიტუციური დაახლოება, საქართველო, ევროკავშირი.

ინსტიტუტების იმპორტი რეფორმებისთვის საჭირო დროს მნიშვნელოვნად ამცირებს. მისი განხორციელების მოტივაცია უკავშირდება მსოფლიოში უკვე დაგროვილ დადებით გამოცდილებას, ასევე ამ მიმართულებით ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაზრდილ შესაძლებლობებს (Papachashvili & Jamagidze, 2014). საქართველოში ინსტიტუტების იმპორტის საჭიროება დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ პერიოდში გამოწვეული იყო თავისუფალი ბაზრის შესაბამისი ინსტიტუტების არარსებობით, ან არასათანადო განვითარებით. დღესდღეობით კი ქვეყნის ევროპასთან ინტეგრაციის ერთმნიშვნელოვანი სტრატეგიული ვექტორი დაახლოების პროცესში ინსტიტუტების იმპორტის აუცილებლობას განაპირობებს.

ნაშრომის მიზანია ევროკავშირის ფარგლებს გარეთ მმართველობის გატანის (extrnal governance) თეორიაზე დაყრდნობით დავახასიათოთ საქართველოს სავაჭრო პოლიტიკის სფეროში ინსტიტუტების იმპორტის პროცესი. ევროკავშირის საზღვრებს გარეთ გავლენის სტრატეგიები და ინსტრუმენტები მიმღები ქვეყნების სტატუსის, ინსტიტუციური სტრუქტურის და ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით განსხვავდება. მიღებული მოსაზრებით, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნებში (ENP) ევროპეიზაციის პროცესს აფერხებს ის, რომ ინსტიტუციური სხვადასხვაობა მათსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის უფრო მკვეთრადაა გამოხატული, ვიდრე კანდიდატი ქვეყნების შემთხვევაში. ასევე, ამ სფეროს მკვლევართა შორის გაზიარებულია მოსაზრება, რომ სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნებში დემოკრატიულ რეფორმებზე ევროკავშირის გავლენა ხასიათდება სისტემატური სისუსტეებით (Schimmelfennig, 2015, 20). ამასთან ერთად, მართველობის მოდელი, რომლის გადმოტანაც ხდება და თანამშრომლობის ფორმები პოლიტიკის ცალკეულ სფეროში (მაგალითად, სავაჭრო პოლიტიკა, ენერგეტიკული პოლიტიკა, გარემოს დაცვის პოლიტიკა და სხვა) სხვადასხვაგვარად ხორციელდება. ამიტომ ზემოაღნიშნული სტრატეგიებისა და ინსტრუმენტების მოქმედების ახსნა პოლიტიკის სფეროს დაკონკრეტებას საჭიროებს (Schimmelfennig, 2015, 23). საქართველოს შემთხვევის განხილვა, ჯერ ერთი გაამდიდრებს შედარებითი ხასიათის კვლევებს სხვა ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო შეთანხმებების მოქმედების მექანიზმების შესახებ და ის, ასევე, საინტერესო იქნება ეკონომიკური პოლიტიკის ცალკეული სექტორული მიმართულებით ევროკავშირის ინსტიტუტების იმპორტის თავისებურებების ანალიზისთვის.

საქართველოს ეკონომიკურ და, მათ შორის, სავაჭრო პოლიტიკაზე ევროკავშირის გავლენის შეფასების მეთოდოლოგიური სირთულე უკავშირდება იმას, რომ ევროპასთან ინტეგრაციის პროცესი მიმდინარეობდა ღრმა პოლიტიკური და ეკონომიკური ტრანსფორმაციების ფონზე და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის პარალელურად. საქართველოს სავაჭრო პოლიტიკის სფეროში 1990-იანი წლებიდან დაიწყო ლიბერალური სავაჭრო რეჟიმის ფორმირება, რის გამოხატულებაც იყო საიმპორტო შეზღუდვების თანდათანობითი გაუქმება. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში (ვმო)

განვერიანება იყო სავაჭრო პოლიტიკის რეფორმირების უმნიშვნელოვანესი ეტაპი, რადგან ამით გარე სამყაროსთან ლიბერალური, არადისკრიმინაციული ვაჭრობისა და ქვეყნის სავაჭრო პოლიტიკის ზოგადი ინსტიტუციური საფუძვლების განმტკიცება მოხდა. მაგრამ ევროკავშირი-საქართველოს სავაჭრო პოლიტიკა იმითაა საყურადღებო, რომ ის არ შემოიფარგლება მხოლოდ საქონლისა და მომსახურების ნაკადების თავისუფალი გადაადგილებისთვის საჭირო სავაჭრო რეჟიმების შემოღებით, არამედ გულისხმობს ჰარმონიზაციის გზით ინსტიტუციური განსხვავებების აღმოფხვრას. ეს სხვა სავაჭრო პარტნიორებთან საქართველოს მიერ გაფორმებულ სავაჭრო შეთანხმებებს არ ახასიათებს. აღსანიშნავია, რომ სრულყოფილი მონაცემები, რომლებიც დავგანახებს, როგორ გარდაიქმნება სამამულო ინსტიტუტები და სტრუქტურები ევროკავშირის გარე მართველობის განხორციელების შედეგად, საკმაოდ მწირია (Börzel & Risse, 2011, 7). იმისათვის, რომ დავახიასიათოთ როგორ მიმდინარეობს სავაჭრო პოლიტიკასთან დაკავშირებული ინსტიტუტების იმპორტი საქართველოში, თავდაპირველად შევეხებით საქართველოს საგარეო სავაჭრო პოლიტიკის მიზნებს და ინსტრუმენტებს და იმ ცვლილებებს, რაც ამ სფეროში კარგი მმართველობის პრინციპებთან შესაბამისობისთვის განხორციელდა, შემდეგ განვიხილავთ მდგომარეობას ინსტიტუციური დაახლოების თვალსაზრისით, რისთვისაც ვიყენებთ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის საქონლის ბაზრების ეფექტიანობის მაჩვენებლებს და ბოლოს ჩამოვყალიბებთ კვლევიდან გამომდინარე დასკვნებს.

კვლევის თეორიული საფუძველი

ევროკავშირი არამხოლოდ ქმნის და ამკვიდრებს განსაზღვრულ წესებს და მმართველობის სისტემას მის ფარგლებს შიგნით, არამედ ეს წესები და ინსტიტუტები საკუთარ საზღვრებს გარეთაც გააქვს (Börzel T. &, 2011). კვლევები, რომლებიც არანევრ ქვეყნებში, და მათ შორის, სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნებში, ქვეყნისშიგა რეფორმებზე ევროკავშირის გავლენის შედეგებს აანალიზებს, არც ისე ბევრია, მაგრამ არსებულ ლიტერატურაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, ეს გავლენა განისაზღვრება, ერთი მხრივ, ევროკავშირისგან მომდინარე, ზეეროვნულ დონეზე მოქმედი ძალებით, რაც ქვეყნისშიგა ტრანსფორმაციებში ევროკავშირის ჩართულობის მექანიზმებს მოიცავს, ხოლო მეორე მხრივ ყალიბდება სამეზობლო რეგიონის ამა თუ იმ ქვეყანაში ეროვნულ დონეზე მოქმედი ფაქტორებით, რომლებიც განსაზღვრავს ამ მექანიზმების მოქმედების საბოლოო შედეგს.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის განვერიანებულ და კანდიდატ ქვეყნებზე, ასევე, სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნებზე, ევროკავშირის გავლენის საკითხები შესწავლილია გაფართოების, საზღვრებს გარეთ მმართველობის გატანის და ევროპეიზაციის კონტექსტში (Grabbe 2001, 2002); (Schimmelfennig and Sedelmeier 2004, 2006); (Börzel and Risse, 2004); (Lavenex 2004); (Lavenex and Schimmelfennig, 2006); (Timuş, 2007); (Gawrich et al, 2009); (Börzel, 2000), (Börzel, 2011).

ევროკავშირის გარე მმართველობის (external governance) კონტექსტში ვაჭრობასთან დაკავშირებული ინსტიტუტების ექსპორტი განუყოფლადაა დაკავშირებული მიმღებ გარემოში მათ ინსტიტუციონალიზაციასთან. თავის მხრივ, ინსტიტუციონალიზაცია გულისხმობს ევროკავშირის კანონმდებლობის სამამულო ინსტიტუტებში ტრანსპოზიციას, სამამულო ინსტიტუტების ევროკავშირის წესების შესაბამისად გარდაქმნას, ან/და სამამულო პოლიტიკის ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად შეცვლას (Shimmelfennig & Sedelmeier, 2004). ამ პროცესის ეფექტურობა დამოკიდებულია ევროკავშირის მიერ განხორციელებულ მხარდაჭერაზე (ფინანსური, ტექნიკური, პოლიტიკური), გამოყენებულ სტიმულებზე (დადებითი და უარყოფითი შეპირობება), მოთხოვნების ჩამოყალიბებისა და მიწოდების მექანიზმებზე.

Lavenex (2004), Sedelmeier (2006; 2007) კვლევები აჩვენებს, რომ ევროკავშირის გარე მმართველობა სხვადასხვა ხარისხით სამეზობლო პოლიტიკის ყველა ქვეყანაზე ვრცელდება, თუმცა ამ ქვეყნებში ინსტიტუტების ექსპორტს შერჩევითი და გარკვეულწილად შეზღუდული ხასიათი აქვს. შეზღუდულობა გულისხმობს, რომ საბოლოოდ მას არ მოსდევს ინსტიტუტების იმპორტიორი ქვეყნის სრულფასოვანი წევრობა ევროკავშირში, არამედ წევრობის ალტერნატივას წარმოადგენს (Gawrich et al, 2009). მიუხედავად ამისა, საქართველოსთვის საქონლითა და წარმოების ფაქტორებით ვაჭრობის საშუალებით ევროპულ ბაზარზე გაზრდილი წვდომა და მასთან საბოლოო ინტეგრირება შეპირობების (conditionality) ძლიერი მექანიზმი და, შესაბამისად, შიდა რეფორმების გატარების სტიმულია.

სავაჭრო პოლიტიკის რეფორმის მამოძრავებელ ძირითად ძალებად კრიზისებს, ინტერესთა ჯგუფების ურთიერთქმედებას, იდეებსა და ინსტიტუტებს მიიჩნევენ. საქართველოს სავაჭრო პოლიტიკაზე ევროკავშირის გავლენის კონტექსტით ეს უკანასკნელი ორი ფაქტორი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. იდეების გავლენით ჩამოყალიბებული ზოგადი კლიმატი შესაძლოა, პოლიტიკის წარმატებული გატარების წინაპირობა იყოს. იდეური ერთიანობა ევროკავშირთან ხაზგასმულია საქართველოს არაერთ სტრატეგიულ დოკუმენტში. როგორც ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაშია აღნიშნული, საქართველოს ევროპული მისწრაფებები ეროვნული ღირებულებების ევროპულ ღირებულებებთან ერთიანობას ემყარება. შესაბამისი იდეების, სიმბოლოებისა და ინსტიტუტების გავრცელებით ეს ყოველდღიურ ცხოვრებაშია გამოხატული, რაც ევროპასთან საზღვრის, როგორც ბარიერის ფუნქციის დაძლევას ემსახურება (Jamagidze, 2016).

ევროკავშირი და საქართველოს საგარეო სავაჭრო პოლიტიკის მიზნები

სავაჭრო პოლიტიკაში ასახვას ჰპოვებს თავისუფალი ბაზრისა და ლიბერალური დემოკრატიის ზოგადი პრინციპების და მათ საფუძველზე ჩამოყალიბებულ ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების მხარდაჭერა. საქარ-

თველოს საგარეო სავაჭრო პოლიტიკის ძირითადი მიზნები, ვმო-ში წარდგენილი ოფიციალური სავაჭრო პოლიტიკის მიმოხილვის მიხედვით, არის: მსოფლიო ეკონომიკასთან ინტეგრაცია, სავაჭრო პოლიტიკის ლიბერალიზაცია, მათ შორის საექსპორტ-საიმპორტო პროცედურების, სატარიფო და არასატარიფო რეგულირების გამარტივება; სავაჭრო კავშირების დივერსფიკაცია და პოლიტიკის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა (World Trade Organization, 2015).

ევროკავშირისა და საქართველოს შორის ურთიერთობა ვაჭრობის ლიბერალიზაციის ზოგად პრინციპებს პასუხობს. ევროკავშირი დაინტერესებულია, რომ ეკონომიკურმა ინტეგრაციამ ფართო სახე მიიღოს. ამიტომ იგი საქართველოსთან თანამშრომლობის სანყისი ეტაპიდანვე ხელს უწყობდა ვაჭრობის ლიბერალიზაციას და რეგულირების გამარტივების მიზანს. საქართველო-ევროკავშირის შორის თანამშრომლობის ოფიციალური დოკუმენტებით ვმო-ს ჩარჩოთი განსაზღვრული ნორმების აღიარება და დაცულობის ხელშეწყობა ამ მიზნის მხარდაჭერის გამოხატულებაა. ვმო-ს მთელი რიგი მუხლები (მაგალითად, ეროვნული რეჟიმის) და მისი განმარტებითი ჩანაწერები წარმოადგენს ღრმა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების (DCFTA) შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს.

სავაჭრო პოლიტიკის რეფორმა მიმდინარეობდა მრავალმხრივი და პრეფერენციული სავაჭრო შეთანხმებებით აღებული ვალდებულებების მიხედვით. როგორც ვმო-ს წევრმა, საქართველომ მნიშვნელოვნად დაბალ დონემდე შეამცირა ტარიფები და სხვა სავაჭრო შეზღუდვები. სამრეწველო საქონლის სატარიფო კატეგორიების 96.4% და სასოფლოსამეურნეო საქონლის სატარიფო კატეგორიების 41.8% თავისუფალია საბაჟო გადასახადისგან (ჰარმონიზებული სისტემის 6 ნიშნა დონეზე). ამდენად, საქართველოს საგარეო სავაჭრო რეჟიმი რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალურია.

ისეთი მნიშვნელოვანი რეფორმები, როგორებიცაა სავაჭრო ბარიერების შემცირება ექსპორტ-იმპორტის კვოტირების გაუქმებით (შენარჩუნდა მხოლოდ მეტად შეზღუდული ნომენკლატურის სპეციფიკურ საქონელზე ექსპორტის ან იმპორტის აკრძალვა), ლიცენზირების, საგარეო სავაჭრო კონტრაქტების რეგისტრაციის მოთხოვნის გაუქმება, აქციზური საქონლის ჩამონათვალისა და სააქციზო განაკვეთების შემცირება, საიმპორტო ტარიფების განაკვეთების შემცირება, ექსპორტზე საბაჟო გადასახადის გაუქმება და საკანონმდებლო ცვლილებები სამეწარმეო საქმიანობისა და ექსპორტ-იმპორტის ლიცენზირების, საგადასახადო სისტემის, სტანდარტიზაცია-სერტიფიკაციის, სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ნორმების, სუბსიდიების, ინტელექტუალური საკუთრების ვაჭრობასთან დაკავშირებულ ასპექტებისა და სხვა სფეროებში, ვმო-ს ჩარჩოს შესაბამისად გატარდა. მათი განხორციელების ხელშეწყობის და სხვა დამატებითი რეფორმების გატარების ვალდებულება აისახა ევროკავშირთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებაშიც (PCA), რომელიც ძალაში 1999 წელს შევიდა და საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა. მისი III

ნაწილით, რომელიც საქონლით ვაჭრობას მოიცავს, გათვალისწინებული იყო მხარეების მიერ უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ურთიერთმინიჭება, კვოტების გაუქმება, ინტელექტუალური (სამრეწველო და კომერციული) საკუთრების უფლებების დაცვის გაძლიერება და პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმის ამოქმედება. განსაზღვრული იყო, ასევე, რომ მხარეები გამოიყენებდნენ ვმო-ს წესებს საქონლის თავისუფალი ტრანზიტის, დემპინგისა და საექსპორტი სუბსიდიების არსებობის შემთხვევებში.

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებითვე იყო გათვალისწინებული ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის ვაჭრობაში პრეფერენციების მინიჭება. 1999 წლიდან საქართველო გახდა პრეფერენციების განზოგადებული სისტემით (GSP) მოსარგებლე. პრეფერენციული სავაჭრო სქემით, საქართველოს შეეძლო ევროკავშირში გაეტანა 3,300 დასახელების პროდუქტი უბაჟოდ, ხოლო 6,900 დასახელების პროდუქტი – გარკვეული შეღავათებით. 2005 წლიდან ევროკავშირმა პრეფერენციების სქემა გააფართოვა (GSP+) და საქართველოს ნულოვანი ტარიფით 7200 დასახელების საქონლის ექსპორტის შესაძლებლობა მიანიჭა. მიუხედავად იმისა, რომ პრეფერენციების განზოგადებული სისტემამ ექსპორტის დევერსიფიკაციაზე გავლენა ვერ მოახდინა (CIESR, 2011). ის წარმოადგენდა ინსტრუმენტს, რომ საქართველოს გაეძლიერებინა საკუთარი პოზიცია ევროკავშირის ბაზარზე და მასთან ვაჭრობით მიეღო რეალური ეკონომიკური სარგებელი. აღსანიშნავია, რომ GSP და GSP+ არ შეეხებოდა მხოლოდ სავაჭრო ბარიერებს. ამ რეჟიმით სარგებლობისთვის საქართველოს ვალდებულება იყო ადამიანის უფლებების, შრომის ძირითადი სტანდარტების, გარემოს დაცვის და „კარგი მმართველობის“ სფეროებში 27 ძირითადი საერთაშორისო კონვენციის რატიფიცირება და ეფექტიანი განხორციელება. ეს მიუთითებს, რომ GSP და GSP+ სავაჭრო პოლიტიკას „კარგი მმართველობის“ დამკვიდრებისთვის ინსტიტუტების ექსპორტის შემადგენელ ნაწილად მოიაზრებს და საბოლოოდ, სავაჭრო პრეფერენციების ამოქმედების საშუალებით, ევროკავშირის გავლენას ავრცელებს არა მხოლოდ საქართველოს სავაჭრო პოლიტიკაზე ვიწრო გაგებით (ტარიფების მოხსნა, ბაზარზე შეღწევის გაიოლება), არამედ ევროკავშირის ბაზრებზე წვდომის სანაცვლოდ, მოიცავს ყველა იმ ინსტიტუციურ რეფორმას, რომლებმაც მმართველობის სტრუქტურები უნდა გარდაქმნას სამეზობლო რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის დამკვიდრების მიზნის შესაბამისად.

ამგვარად, პროგრესული ნორმატიული და საკანონმდებლო დაახლოება ევროკავშირის სავაჭრო ნორმებთან სულად პასუხობდა ვმო-ს მრავალმხრივი სავაჭრო სისტემით გათვალისწინებული **მეტი გამჭვირვალობის, პროგნოზირებადობის** და პროგრესული **ლიბერალიზაციის** მიზნებს. სექტორული მიმართულებით (საგარეო ვაჭრობა) საქართველოს სავაჭრო პოლიტიკა ავლენს შესაბამისობას ევროკავშირის მაკროდპოლიტიკის მიზნებთან, რაც რეფორმების ეფექტურობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

ევროკავშირის გავლენა სავაჭრო პოლიტიკის ინსტრუმენტებზე

სავაჭრო პოლიტიკის ინსტრუმენტებზე გავლენის თვალსაზრისით DCFTA ყველაზე მნიშვნელოვანი შეთანხმებაა, რადგან მასში ინკორპორირებულია როგორც ეტაპობრივად უკვე მიღწეული პროგრესი სავაჭრო პოლიტიკის ჰარმონიზაციაში, ასევე, განსაზღვრულია სამომავლო ვალდებულებები რეფორმებისთვის. საქართველოს სავაჭრო პოლიტიკაზე ევროპული ინტეგრაციის გავლენის წყაროები ევროკავშირის ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის ინსტრუმენტებია, პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება (PCA), ევროპის სამეზობლო პოლიტიკა (ENP), ასოცირების შეთანხმება (AA) არა მარტო საქართველოს-ევროკავშირის მიერ ურთიერთმიმართებით გამოყენებულ სავაჭრო პოლიტიკის ინსტრუმენტებს ადგენს, არამედ ვაჭრობასთან დაკავშირებულ ფართო ინსტიტუციურ რეფორმებს განსაზღვრავს.

DCFTA ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (ENP) სავაჭრო პოლიტიკასთან დაკავშირებული მთავარი კომპონენტია და მის მომზადებას, გაფორმებას და ამოქმედებას სიღრმისეული რეფორმები უძღვოდა წინ, კერძოდ: სატარიფო რეფორმა, საბაჟო სამსახურის რეფორმა და კორუფციის აღმოფხვრის ღონისძიებები, ბიზნესის ლიცენზირების სისტემის რეფორმა და ცვლილებები ფინანსური სექტორის რეგულირებაში. საქართველოს 2007 წელს მიღებული საბაჟო კოდექსი შესაბამისობაში იყო ევროკავშირის საბაჟო კოდექსთან ევროპული საბჭოს დეკრეტის No. 2913/92 და ევროკავშირის საბაჟო კოდექსის ამოქმედების დებულებებთან (დეკრეტი No. 2454/93), ასევე, დღეს DCFTA-ით გათვალისწინებულია ცვლილებები საქართველოს საბაჟო სისტემაში ევროკავშირში მოქმედი სისტემის მსგავსი **საბაჟო პროცედურების** დანერგვას და საქართველოსა და ევროკავშირის ბიზნესისთვის ერთნაირი საბაჟო რეგულირების გარემოს შექმნას გულისხმობს.

DCFTA-ის გაფორმებას უძღვოდა წინ სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგულირებისა და მეტროლოგიის სტრატეგიის შეიმუშავება, ასევე, საკანონმდებლო რეფორმებისა და ტექნიკური რეგულაციების დანერგვის პროგრამა. ევროკავშირმა გამოყო ოთხი პრიორიტეტული სფერო: სანიტარიული და ფიტოსანიტარიული წესები, ვაჭრობის ტექნიკური ბარიერები, ინტელექტუალური და სამრეწველო საკუთრების უფლებები და კონკურენციის პოლიტიკა (Eurasia Partnership Foundation. 2014) ყველა მათგანისათვის საქართველომ, ევროკავშირის რეკომენდაციების შესაბამისად, შეიმუშავა სამოქმედო სტრატეგიები და განახორციელა საკანონმდებლო ცვლილებები. გავლენა განსაკუთრებით თვალსაჩინოა **ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების (TBT)** სფეროში, სადაც საქართველოს პირდაპირ გადმოაქვს ევროკავშირის შესაბამისობის შეფასების ინსტიტუტები და კანონმდებლობაში ნერგავს ევროკავშირის დირექტივებით გათვალისწინებულ ძირითად დებულებებს პროდუქტების უსაფრთხოებისა და უვარგისი პროდუქტებისთვის გათ-

ვალისწინებული პასუხისმგებლობის შესახებ (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2015). ევროკავშირთან დაახლოების კვალდაკვალ დაიწყო მუშაობა ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის განვითარებაზე და ეტაპობრივად საქართველოს ექნება სრული წვდომა საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებზე.

საქართველო ახორციელებს ევროკავშირის დირექტივების ტრანსპოზიციას ეროვნული **ტექნიკური რეგულირების** სისტემაში. განისაზღვრა რვანლიანი პერიოდი ევროკავშირის 21 სექტორული დირექტივის დანერგვისათვის. მასთან ერთად, უნდა მოხდეს ე.წ. „ჰორიზონტალური დირექტივების“ მიღება, რომლებიც უსაფრთხოების ინფრასტრუქტურის მუშაობას არეგულირებს (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2015).

საქართველოს სავაჭრო პოლიტიკა მიმართულია იქითკენ, რომ არასატარიფო ბარიერების სფეროში დანერგოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა და ევროკავშირიდან მნიშვნელოვანი განსხვავებები თავიდან აიცილოს. ეს მიიღწევა ორი გზით: 1) ტექნიკური სტანდარტებისა და რეგულაციების ჰარმონიზაცია; 2) მათი ურთიერთალიარება. ამ მიმართულებით უმნიშვნელოვანესი იყო „პროდუქტის უსაფრთხოებისა და საქონლის თავისუფალი მოძრაობის შესახებ“ კოდექსის მიღება (2012), რომელიც აღიარებს ევროკავშირისა და OECD ქვეყნების ტექნიკური რეგულაციების ეკვივალენტურობას და ამ ქვეყნებიდან საქართველოში იმპორტირებული საქონელი აღარ საჭიროებს ტესტირებას და სერტიფიკაციას (European Commission, 2017). ევროკავშირთან დაახლოების სამთავრობო პროგრამის პრიორიტეტების შესაბამისად 2014 წელს საქართველოს სტანდარტად მიღებულ იქნა 1000-ზე მეტი, ხოლო 2015 წელს 1721 საერთაშორისო და ევროპული სტანდარტი (EU Georgia Business Council, 2014). ამავდროულად, DCFTA-ით გათვალისწინებული ვალდებულებების შესაბამისად, საქართველოს სტანდარტების რეესტრიდან ამოღებულ იქნა სტანდარტები, რომელთა ნაწილი ევროპული სტანდარტებს ეწინააღმდეგებოდა (EU Georgia Business Council, 2014).

მიუხედავად იმისა, რომ DCFTA-ით რეალიზებულია ოთხიდან სამი თავისუფლება (საქონელი, მომსახურება, კაპიტალი), მოხსნილია საბაჟო გადასახადები როგორც სამრეწველო, ასევე, სასოფლოსამეურნეო საქონელზე, შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობიდან სამი სახის გამონაკლისის უშვებს: ა) თავისუფალი ვაჭრობა ტარიფთან შერწყმული კვოტების პირობებში (tariff rate quotas); ბ) პროდუქტები, რომლებზეც ad valorem ტარიფები მოხსნილია, მაგრამ ექვემდებარება ბაზარზე შეღწევის ფიქსირებული ფასის გადახდას; გ) პროდუქტები, რომლებიც ექვემდებარება გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმს (anti-circumvention mechanism). სრულფასოვანი წვდომა ევროკავშირის ბაზარზე არასატარიფო რეგულირების ინსტრუმენტების ჰარმონიზაციითაა შესაძლებელი, მაგრამ ტარიფებთან შედარებით, მათი ცვლილება ნელა მიმდინარეობს, შესაბამისად, სავაჭრო პოლიტიკის რეფორმა ჯერ კიდევ დაუსრულებელი პროცესია.


მომსახურებით ვაჭრობის 4 სექტორში საქართველოს ვალდებულებაა ნა-ბიჯ-ნაბიჯ (4-დან 8 წლამდე პერიოდის განმავლობაში) დაუახლოოს ეროვნული კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობას. ეს სექტორებია: 1) საფოს-ტო და საკურიერო მომსახურება, 2) ტელეკომუნიკაციები, 3) ფინანსური მომ-სახურება და 4) საერთაშორისო საზღვაო ტრანსპორტი. უფრო მოკლე ვადები განისაზღვრა ევროკავშირის 2 დირექტივასთან საკანონმდებლო დაახლოების-თვის – ფულის გათეთრება (2 წელი) და სატელეკომუნიკაციო მომსახურება (3 წელი) (European Commission, 2017, 14).

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის მიმდინარეობისას, საქართველოში შედარებით გახანგრძლივდა რეფორმების პრაქტიკაში დანერ-გვა კონკურენციის პოლიტიკის, ინტელექტუალური საკუთრების უფლებებისა და სურსათის უვნებლობის სფეროებში. ეს ის ცალკეული სექტორული მიმარ-თულებებია, სადაც სწრაფი ჰარმონიზაცია ადგილობრივი ეკონომიკური აგენ-ტებს, შესაძლოა, კონკურენტულ უპირატესობას აკარგვინებდეს და ზრდიდეს რეფორმის მიმართ წინააღმდეგობას. მხარდაჭერის ერთიანი ჩარჩოს (2017-2020) ფარგლებში საქართველოს მთავრობის პრიორიტეტების შესაბამისად არის დაკონკრეტებული ძირითადი სფეროები, რომელში თანამშრომლობითაც გამიზნულია ეკონომიკური კეთილდღეობის 20 კონკრეტული შედეგის მიღწევა 2020 წლისთვის. მათ შორის ვაჭრობის დივერსიფიკაცია და გაფართოება ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია. 2016 წლის შემდეგ საქართველოს ვაჭრობა ევ-როკავშირთან 6%-ით არის გაზრდილი, რაც ასოცირების ხელშეკრულების მეო-ნე მოდლოვასა და უკრაინის ანალოგიურ მაჩვენებელზე ბევრად დაბალია, ამი-ტომ ახალი სავაჭრო შესაძლებლობების ათვისება უმნიშვნელოვანეს ამოცა-ნად რჩება. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ვაჭრობის გაიოლების ინდექსი (Enabling Trade Index) გვიჩვენებს კონკრეტულ ეკონომიკში ინსტიტუტების, პო-ლიტიკისა და ინფრასტრუქტურის მდგომარეობას საქონლის საერთაშორისო ნაკადების თავისუფალი გადაადგილებისთვის [World Economic Forum, 2016a]. ეს ინდექსი აერთიანებს ცალკეულ მაჩვენებელს, რომლებიც შვიდ ჯგუფს ქმნის. 2010-2016 წლებში საქართველოს პოზიცია თანდათანობით უმჯობესდებოდა, შესაბამისად, 4,59-დან 4,80-მდე. ინდექსში შემავალი მაჩვენებლების ერთ-ერ-თი ჯგუფია ვაჭრობის ფუნქციონირების გარემო, რომელიც აფასებს ვაჭრო-ბისთვის მნიშვნელოვან ძირითად ინსტიტუციურ ინდიკატორებს: საკუთრების უფლებები, საჯარო ინსტიტუტების ხარისხი და მიუკერძოებლობა, კონ-ტრაქტების შესრულება, ფინანსებზე წვდომა, უცხოური კაპიტალისა და სამუ-შაო ძალის მიმართ ღიაობა და პირადი უსაფრთხოება (კრიმინალისა და ტერო-რიზმის გავრცელების მაჩვენებლები). ვაჭრობის ფუნქციონირების გარემოს მიხედვით, 2014-2016 წლებში საქართველოს პროგრესი ნაჩვენებია, როგორც 50-ე პოზიციიდან 33-ე პოზიციამდე დაწინაურება (4,46 ქულა 2014 წ. და 4.84 ქულა 2016 წ.). საქართველო წარმოდგენილია იმ ქვეყნებს შორის, რომლებსაც ვაჭრობის გაიოლების მხრივ განსაკუთრებით სწრაფი გაუმჯობესება აქვთ და ის თანდათანობით ათანაბრებს განსხვავებას ევროპის ქვეყნებთან.

ამ მაჩვენებლებთან ერთად, ევროკავშირთან ინსტიტუციური დაახლოების ხარისხის შეფასებისთვის ვიყენებთ სასაქონლო ბაზრების ეფექტიანობის ინდიკატორებს: ადგილობრივი კონკურენციის ხარისხი, საბაზრო ძალაუფლება, ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ეფექტიანობა, სასოფლოსამეურნეო პოლიტიკის განხორციელების ხარჯები, სავაჭრო ბარიერების გავრცელება, პირდაპირი ინვესტიციების სიდიდის ბიზნესზე გავლენა, მომხმარებლის ორიენტაცია და მყიდველის კულტურა (World Economic Forum, 2016b). ამის მიხედვით გამოთვლილია ინსტიტუციური დაშორება საქართველოსა და ევროკავშირის ცალკეულ ქვეყანას შორის, რისთვისაც გამოყენებულია Kogut & Singh მოდიფიცირებული ინდექსი ინსტიტუციური ცვლადების გათვალისწინებით¹ (Kogut & Singh, 1988).

ინსტიტუციური დაშორება საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის საქონლის ბაზრების ეფექტიანობის მაჩვენებლების მიხედვით, 2006-2016

ნახაზი 1



წყარო: ავტორის გაანგარიშებები მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მონაცემების მიხედვით, 2006-2016.

როგორც დიაგრამაზეა ნაჩვენები, 2016 წლისთვის ევროკავშირის ქვეყნების უმრავლესობასთან საქართველოს ინსტიტუციური დაშორება შემცირებულია 2006 წლის მდგომარეობასთან შედარებით. რასაკვირველია, გასათვალისწინებელია, რომ თვითონ ევროკავშირის ქვეყნებს შორის ინსტიტუციური გარემოს განსხვავებები არსებობს, მაგრამ დინამიკაში საქართველოსა და მათ

¹ სადაც ID_j არის ინსტიტუციური დაშორება საქართველოსა და ევროკავშირის შესაბამის ქვეყანას შორის; I_{ij} სასაქონლო ბაზრის ეფექტიანობის შესაბამისი მაჩვენებელი საქართველოსთვის, I_{ik} - სასაქონლო ბაზრის ეფექტიანობის შესაბამისი მაჩვენებელი პარტნიორი ქვეყნისთვის, VI_i - დისპერსია.

შორის ინსტიტუციური დაშორების კლება მიგვანიშნებს თანმიმდევრულ და-
ახლოებაზე. 2007-2017 წლების განმავლობაში საქართველო საშუალოდ ყო-
ველწლიურად 1.37%-ით აუმჯობესებდა სასაქონლო ბაზრების ეფექტიანობის
მაჩვენებელს. აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში ხორვატიას ჰქონდა ყველაზე
დაბალი მაჩვენებელი საშუალოდ -0.12% (World Economic Forum, 2018), შესაბა-
მისად, ამ ქვეყანასთან დაშორება გაზრდილია. რაც შეეხება სხვა ქვეყნებს, სა-
დაც ინსტიტუციური მანძილი შედარებით გაზრდილია, მათთან საქართველო
კარგადაა ინტეგრირებული სავაჭრო ნაკადების თვალსაზრისით. მაგალითად,
2017 წელს ბულგარეთი და რუმინეთი, შესაბამისად, საქართველოს ექსპორტში
7.5%-ს და 3,8%-ს იკავებდნენ, ხოლო იტალია – 2.8%-ს. 2016 წლიდან საქართვე-
ლოს ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში თანმიმდევრულად იზრდება, ხოლო
2009 წლის დონესთან შედარებით ის 3-ჯერ არის გაზრდილი.

ევროკავშირში საქართველოს ექსპორტის დინამიკა (ათასი აშშ დოლარი)

ნახაზი 2



წყარო: International Trade Centre www.trademap.org

საერთაშორისო ვაჭრობის ცენტრის (ITC) მონაცემებით, 2018 წელს სა-
ქართველოს უდიდესი საექსპორტო პარტნიორების ხუთეული ევროკავშირში
ამგვარი იყო: ბულგარეთი (258 870 ათასი აშშ დოლარი), ესპანეთი (61 822 ათა-
სი აშშ დოლარი), რუმინეთი (57 829 ათასი აშშ დოლარი), გერმანია (51 418 ათა-
სი აშშ დოლარი) და ნიდერლანდები (46 327 ათასი აშშ დოლარი). ყველაზე
მცირე ექსპორტი შვედეთთან, ფინეთთან და პორტუგალიასთან დაფიქსირდა.
2017 წელს კი პირველ ხუთ პოზიციას ბულგარეთი, რუმინეთი, იტალია, ესპანე-
თი და გერმანია იკავებდნენ.

ღრმა სავაჭრო ინტეგრაციის ფარგლებში ინსტიტუციური ჰარმონიზაცი-
ის უპირატესობებით შეუძლიათ ისარგებლონ საერთაშორისო სანარმოო ქსე-
ლებში აქტიურად ჩართულმა ფირმებმა. საქართველოს სჭირდება დამატები-
თი ღონისძიებები ევროკავშირის ქვეყნებთან ორმხრივ დონეზე ეკონომიკური
კავშირების ინტენსიფიკაციისა და ექსპორტის ეფექტიანობის ზრდისთვის. ის
უნდა განვითარდეს არამხოლოდ საქონლით ვაჭრობის, არამედ მომსახურებით

ვაჭრობის, ინტელექტუალური საკუთრებისა და ინვესტიციების მიმართულებით.

სავაჭრო პოლიტიკის გამტარებლების როლი

სავაჭრო პოლიტიკის გაანალიზება მისი მიზნების, ინსტრუმენტებისა და გამტარებლების როლის გათვალისწინებას საჭიროებს (Gvelessiani & Gogorishvili, 2012). საქართველოს სავაჭრო პოლიტიკის ევროკავშირთან ჰარმონიზაციის უზრუნველსაყოფად ჩართული არიან როგორც აღმასრულებელი, ასევე, საკანონმდებლო და სასამართლო შტოები. გარდა ამისა, არასამთავრობო აგენტები, როგორიცაა ბიზნესასოციაციები და გაერთიანებები, ასევე, კვლევითი ორგანიზაციები სხვადასხვა ფორმით მონაწილეობენ DCFTA-ის სამოქმედო გეგმის შესრულებაში. ყველა სამინისტროში ფუნქციონირებს ევროკავშირთან დაახლოებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები. 2015 წლის იანვრიდან სოფლის მეურნეობის სამინისტროში შეიქმნა ევროინტეგრაციის დეპარტამენტი, რომელიც კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის მარეგულირებელი ნორმების ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების კოორდინაციას სამინისტროს დეპარტამენტებსა და დაქვემდებარებულ უწყებებს შორის, ასევე, მონაწილეობს ასოცირების შეთანხმების იმპლემენტაციის მიზნით სამთავრობო ღონისძიებებში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო და სურსათის ეროვნული სააგენტო სარგებლობენ ევროკავშირის ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარების პროგრამის (CIB) მხარდაჭერით სამი ძირითადი მიმართულებით: სურსათის უვნებლობა, ვეტერინარია და ფიტოსანიტარია. იგი მიზნად ისახავს პარტნიორი ქვეყნების ინსტიტუციონალური შესაძლებლობების გაძლიერებას. 2011-2013 წლებისთვის CIB-ით საქართველოსთვის გათვალისწინებული ბიუჯეტი 30.86 მილიონ ევროს შეადგენდა (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2015).

შემოსავლების სამსახური და სურსათის ეროვნული სააგენტო ერთობლივად მუშაობენ ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლის ღონისძიებების მონესრიგებისთვის. ჯანდაცვის სამინისტროში მოქმედმა ჯგუფმა, შემოსავლების სამსახურის და სურსათის ეროვნული სააგენტოს მონაწილეობით, შეიმუშავა სასურსათო ნედლეულისა და კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების სანიტარიული ნესები და ნორმები.

ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის ინსტიტუტებს წარმოადგენენ სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო (GEOSTM), საქართველოს აკრედიტაციის ცენტრი და ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო, რომელიც ბაზარზე ზედამხედველობას ახორციელებს სამშენებლო და სამრეწველო სექტორებში. ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, შემუშავებულ იქნა ტექნიკური დახმარების პროგრამის განხორციელების გეგმა (ToR) ბაზარზე ზედამხედველობის სისტემის ხარვეზებისა და

საჭიროებების შესაფასებლად და გასაუმჯობესებლად. პროგრამის განსახორციელებლად ევროკავშირის მიერ გამოყოფილია 250 000 ევრო.

საქართველოს პარლამენტი ახორციელებს ევროკავშირთან ჰარმონიზაციის პროცესის საკანონმდებლო, საინფორმაციო და ტექნიკურ მხარდაჭერას, ასევე, ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს.

სავაჭრო პოლიტიკის გამტარებლების როლი არამხოლოდ რეფორმის წარმართვაში, არამედ იმ რისკების მართვაში მონაწილეობაა, რასაც ინსტიტუტების იმპორტი უკავშირდება. ტიპური პრობლემები შეიძლება იყოს ინსტიტუტების სწრაფად გადმოტანის მცდელობისა და შევებული შეცდომები, ადგილობრივი ინტერესთა ჯგუფების წინააღმდეგობის გამო რეფორმის გაჭიანურება ან შეწყვეტა.

დასკვნა

საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობების სფეროში გატარებული რეფორმები ევროკავშირის საზღვრებს გარეთ კარგი მმართველობის მოდელის გატანის პროცესის ნაწილია. ის ინსტიტუტების იმპორტის გზით ხორციელდება და კვლავაც გრძელდება. ზოგიერთ შემთხვევაში ის გულისხმობს საერთაშორისო დონეზე დადგენილი ნორმების ურთიერთვაჭრობაში აღიარებას – ვმო-ის მთელი რიგი მუხლები წარმოადგენს ღრმა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების (DCFTA) შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს. კიდევ ერთი სტრატეგიაა ურთიერთმსგავსი ინსტიტუტებისა და პროცედურების დანერგვა (მაგალითად, როგორც საბაჟო რეგულირების სფეროში განხორციელდა), ზოგჯერ ხდება ნორმებისა და მოთხოვნების პირდაპირი გადმოტანა (ტექნიკური ბარიერების სფეროში), ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება თანდათანობით ჰარმონიზაციას (მომსახურებით ვაჭრობა).

საქართველოს ვაჭრობის გაიოლების ინდექსი თანმიმდევრულად უმჯობესდება, ხოლო საქონლის ბაზრების ეფექტიანობის ინდექსის საფუძველზე გაანგარიშებული ინსტიტუციური დამორების კლება გვიჩვენებს, რომ საქართველოსა და ევროკავშირის ვაჭრობის მარეგულირებელი გარემოს დაახლოება მოხდა, რაც მოქმედი ეკონომიკური აგენტებისთვის ნაკლებ ტრანზაქციურ ხარჯებს ნიშნავს; მიუხედავად ამისა, ინსტიტუციური სიახლოვე, როგორც ჩანს, არასაკმარისი პირობაა ვაჭრობის კიდევ უფრო გაფართოებისა და დივერსიფიკაციისთვის. შესაბამისად, მომავალი წლების სამოქმედო გეგმის დღის წესრიგში რჩება საექსპორტო სტრუქტურის დივერსიფიკაცია და ევროკავშირის ბაზარზე ახალი საექსპორტო შესაძლებლობების ათვისება.

საქართველოს სავაჭრო პოლიტიკის ევროკავშირთან ჰარმონიზაციის უზრუნველსაყოფად მუშაობენ როგორც აღმასრულებელი, ასევე, საკანონმდებლო და სასამართლო შტოები. სავაჭრო პოლიტიკის გამტარებლების როლი არამხოლოდ სამოქმედო გეგმის შესაბამისად რეფორმის წარმართვაში, არა-

მედ იმ რისკების მართვაში მონაწილეობაა, რასაც ინსტიტუტების იმპორტი უკავშირდება. ტიპური პრობლემები შეიძლება ინსტიტუტების სწრაფად გადმოტანის მცდელობისას დაშვებულ შეცდომებს ან ადგილობრივი ინტერესთა ჯგუფების წინააღმდეგობის გამო რეფორმის გაჭიანურებას უკავშირდებოდეს.

ლიტერატურა:

- გველესიანი რ., გოგორიშვილი, ი. (2012). ეკონომიკური პოლიტიკა. სახელმძღვანელო, თსუ გამომცემლობა.
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. (2014). ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელების 2014-2017 წლების სამოქმედო გეგმის 2014 წლის ანგარიში.
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. (2015). ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელების 2014-2017 წლების სამოქმედო გეგმის 2015 წლის ანგარიში.
- Börzel, T. A., Risse Th. (2004). One Size Fits All! EU Policies for the Promotion of Human Rights, Democracy and Rule of Law. Paper read at Workshop on Democracy Promotion, at Stanford University.
- Börzel, T., van Hüllen, V. (2011). Good Governance and Bad Neighbors? The Limits of the Transformative Power of Europe. KfG Working Paper Series, No. 35, December 2011, Kolleg-Forschungsgruppe (KfG) “The Transformative Power of Europe“, Freie Universität Berlin.
- Börzel, Tanja A. and Risse, Thomas. (2000). When Europe Hits Home: Europeanization and Domestic Change European Integration online Papers (EIOP) Vol. 4 N°15; <http://eiop.or.at/eiop/texte/2000-015a.htm>
- Eastern Partnership and Socio-Economic Policy of Georgia. (2011). CIESR, CEPR, OSGF https://www.osgf.ge/files/publications/EaP_CIESR-En_1.pdf
- Eurasia Partnership Foundation. (2014). Alternative Assessment Report Implementation of the ENP Action Plan and EaP Bilateral and multilateral roadmaps of 2013: Trade and trade-related issues (Report Summary).
- European Commission. (2017). Georgia Association Implementation Report, Brussels.
- EU-Georgia Business Council. (2014). Technical Barriers to Trade. http://eeas.europa.eu/archives/delegations/georgia/documents/dcfta_eugbc/tbt_publication_en.pdf
- Gawrich, A., Melnykovska, I., Schweickert, R. Neighbourhood Europeanization through ENP: The Case of Ukraine. Journal of common Market Studies, Volume 48, Number 5, pp. 1209-1235.
- Grabbe H. (2002). Europeanisation Goes East: Power and Uncertainty in the EU Accession Process. Paper for the ECPR Joint Sessions of Workshops, Turin, 22-27 March.
- Grabbe H. (2001). How does Europeanization affect CEE governance? Conditionality, Diffusion and Diversity. Journal of European Public Policy, Vol. 8, Issue 6.
- Jamagidze L. (2016). Borders and Economic Integration Preferences: The Case of Georgia. Ecoforum Journal, Vol. 5, pp. 19-28.

- Kogut, B. H., Singh. (1988). The Effect of National Culture on the Choice of Entry Mode. *Journal of International Business Studies*, 19, 81-93.
- Lavenex, S. (2004). EU External Governance in 'Wider Europe'. *Journal of European Public Policy* 11 (4):680-700.
- Lavenex, S., Schimmelfennig F. (2006). Relations with the Wider Europe. *Journal of Common Market Studies* 44 (1):137-154.
- Martin, L., & Kim, S. (2015). Deep Integration and Regional Trade Agreements. In *The Oxford Handbook of the Political Economy of International Trade*. : Oxford University Press.
- Neighbourhood at the crossroads – taking stock of a year of challenges. http://europa.eu/rapid/press-release_ip-14-315_en.htm
- Papachashvili N., Jamagidze L. (2014). Import of Institutions and Economic Value Transformation: The Interactions among Economic Agents in Georgia. Maastricht School of Management Working Paper,
<http://web2.msm.nl/repec/msm/wpaper/msm-wp2014-30.pdf>
- Rodrik, D. (2000). Trade Policy Reform as Institutional Reform. IDB Publications (Working Papers).
- Rodrik, D. (2002). Trade Policy Reform as Institutional Reform. In P. a. Hoekman, Development, Trade, and the WTO: A Handbook. Washington DC: World Bank.
- Schimmelfennig F., Sedelmeier U. (2004) Governance by conditionality: EU rule transfer to the candidate countries of Central and Eastern Europe, *Journal of European Public Policy*, 11:4, 661-679.
- Schimmelfennig F., Sedelmeier U. (2006). Candidate Countries and Conditionality. In *Europeanization: New Research Agendas*, edited by P. Graziano and M. P. Vink. Basingstoke [England]; New York: Palgrave Macmillan.
- Schimmelfennig, F. (2015). Europeanization beyond Europe. *Living Reviews in European Governance*, Vol. 10, (2015), N1.
- Sedelmeier, U. (2006). Europeanisation in New Member and Candidate States. *Living Reviews in European Governance*, 1 (3). ISSN 1813-856X.
- Sedelmeier, U. (2007). The European Neighborhood Policy: A Comment on Theory and Policy. In: Weber, Katja and Smith, Michael E. and Baun, Michael, (eds.) *Governing Europe's Neighbourhood: Partners or Periphery? Europe in Change*. Manchester University Press, Manchester, UK. 195-208. ISBN 9780719076015.
- Timuş, N., (2007). The Influence of European Integration Process outside EU Borders, Central European University, Budapest GARNET Working Paper: No 27/07
- World Economic Forum. (2016a). Enabling Trade Report.
- World Economic Forum. (2016b). Global Competitiveness Report.
- World Trade Organization. (2015). Trade Policy Review. Retrieved from https://www.wto.org/english/tratop_e/tp_r_e/g328_e.pdf

References:

- Börzel T. A., Risse Th. (2004). One Size Fits All! EU Policies for the Promotion of Human Rights, Democracy and Rule of Law. Paper read at Workshop on Democracy Promotion, at Stanford University.

- Börzel, T., Van Hüllen, V. (2011). Good Governance and Bad Neighbors? The Limits of the Transformative Power of Europe. KFG Working Paper Series, No. 35, December 2011, Kolleg-Forschergruppe (KFG) “The Transformative Power of Europe“. Freie Universität Berlin.
- Börzel Tanja A. Risse Th. (2000). When Europe Hits Home: Europeanization and Domestic Change European Integration online Papers (EIoP) Vol. 4 N°15; <http://eiop.or.at/eiop/texte/2000-015a.htm>
- Eastern Partnership and Socio-Economic Policy of Georgia. (2011). CIESR, CEPR, OSGF https://www.osgf.ge/files/publications/EaP_CIESR-En_1.pdf
- Eurasia Partnership Foundation. (2014). Alternative Assessment Report Implementation of the ENP Action Plan and EaP Bilateral and multilateral roadmaps of 2013: Trade and trade-related issues (Report Summary).
- European Commission (2017). Georgia Association Implementation Report, Brussels.
- EU-Georgia Business council. (2014). Technical Barriers to Trade. http://eeas.europa.eu/archives/delegations/georgia/documents/dcfta_eugbc/tbt_publication_en.pdf
- Gawrich A., Melnykovsk, I., Schweickert R. Neighbourhood Europeanization trough ENP: The Case of Ukraine. Journal of common Market Studies, Volume 48, Number 5, pp. 1209-1235.
- Grabbe H. (2002). Europeanisation Goes East: Power and Uncertainty in the EU Accession Process. Paper for the ECPR Joint Sessions of Workshops, Turin, 22-27 March.
- Grabbe H. (2001). How does Europeanization affect CEE governance? Conditionality, Diffusion and Diversity. Journal of European Public Policy, Vol. 8, Issue 6.
- Gvelessiani, R., Gogorishvili I. (2012). “Ekonomikuri politika.” TSU gamomcemloba. [Economic Policy]. Textbook. Tbilisi State University Publishing (in Georgian).
- Jamagidze L. (2016). Borders and Economic Integration Preferences: The Case of Georgia. Ecoforum Journal, Vol. 5, pp. 19-28.
- Kogut B. H., Singh. (1988). The Effect of National Culture on the Choice of Entry Mode. Journal of International Business Studies, 19, 81-93.
- Lavenex S. (2004). EU External Governance in ‘Wider Europe’ Journal of European Public Policy 11 (4) p.680-700.
- Lavenex S., Schimmelfennig F. (2006). Relations with the Wider Europe. Journal of Common Market Studies 44 (1):137-154.
- Martin L., & Kim, S. (2015). Deep Integration and Regional Trade Agreements. In The Oxford Handbook of the Political Economy of International Trade. Oxford University Press.
- Neighbourhood at the crossroads – taking stock of a year of challenges. http://europa.eu/rapid/press-release_ip-14-315en.htm
- Papachashvili N., Jamagidze L. (2014). Import of Institutions and Economic Value Transformation: The Interactions among Economic Agents in Georgia. Maastricht School of Management Working Paper, <http://web2.msm.nl/repec/msm/wpaper/msm-wp2014-30.pdf>
- Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia. (2014). Deep and Comprehensive Free Trade Area (DCFTA) Action Plan 2014-2017 Implementation Report for 2014.
- Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia. (2015). Deep and Comprehensive Free Trade Area (DCFTA) Action Plan 2014-2017 Implementation Report for 2015.
- Rodrik D. (2000). Trade Policy Reform as Institutional Reform. IDB Publications (Working Papers).

- Rodrik D. (2002). Trade Policy Reform as Institutional Reform. In P. a. Hoekman, Development, Trade, and the WTO: A Handbook. Washington DC: World Bank.
- Schimmelfennig F., Sedelmeier U. (2004) Governance by conditionality: EU rule transfer to the candidate countries of Central and Eastern Europe, *Journal of European Public Policy*, 11:4, 661-679.
- Schimmelfennig F., Sedelmeier U. (2006). Candidate Countries and Conditionality. In *Europeanization: New Research Agendas*, edited by P. Graziano and M. P. Vink. Basingstoke [England]; New York: Palgrave Macmillan.
- Schimmelfennig F. (2015). Europeanization beyond Europe. *Living Reviews in European Governance*, Vol. 10, (2015), No. 1
- Sedelmeier U. (2006). Europeanisation in New Member and Candidate States. *Living Reviews in European Governance*, 1 (3). ISSN 1813-856X.
- Sedelmeier U. (2007). The European Neighborhood Policy: A Comment on Theory and Policy. In: Weber, Katja and Smith, Michael E. and Baun, Michael, (eds.) *Governing Europe's Neighborhood: Partners or Periphery? Europe in Change*. Manchester University Press, Manchester, UK, 195-208. ISBN 9780719076015.
- Timuş N., (2007). The Influence of European Integration Process outside EU Borders. Central European University, Budapest GARNET Working Paper: No 27/07.
- World Economic Forum. (2016a). Enabling Trade Report.
- World Economic Forum. (2016b). Global Competitiveness Report.
- World Trade Organization. (2015, November). Trade Policy Review. Retrieved from https://www.wto.org/english/tratop_e/tpr_e/g328e.pdf

Institution Importation in Georgia-EU Trade Relations

Lela Jamagidze

Assistant Professor of

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

lela.jamagidze@tsu.ge

The goal of the present paper is to discuss import of trade related institutions from EU into Georgia. The role of EU as an exporter of its policies and norms out of its external borders and, hence, an important source of changes in the trade environment of Georgia is discussed in Europeanization and EU's external governance context (studied by Schimmelfennig & Sedelmeier (2006), Lavenex (2004), Borzel (2011), etc). The focus is on trade policy reforms and the instruments applied to facilitate Georgia's institutional harmonization with EU.

The reforms are analyzed since the start of bi-lateral cooperation, from PCAs to the conclusion of the Association Agreement. Exported trade-related institutions are based on general EU principles of democracy, peace and stability and aim at greater market

integration with Georgia. EU as an external stimulator of changes on the one hand and costly and difficult steps undertaken by Georgia on the other, determine the progress in reforms. The influence of EU can be twofold: harmonization as a reduction of information asymmetries that opens more trade opportunities and reforms as reasons behind greater investment needs and hence, additional costs for business agents.

To assess the progress in trade-related institutional reforms we refer to the indicators of Trade Enabling Index by World Economic Forum which measures the extent to which economies have in place institutions, policies, infrastructures and services facilitating the free flow of goods over borders and to their destination. As a composite indicator, the ETI consists of an aggregation of individual indicators measuring various trade-enabling factors organized into seven pillars.

Additionally to evaluate the degree of approximation we discuss institutions related to trade in goods. We take goods market efficiency institutions from World Economic Forum and calculate institutional distances between Georgia and EU countries. Georgia's ETI score has been gradually improved. In addition to it, distance calculated according to goods market efficiency indicators has fallen between Georgia and the majority of EU countries between 2006 and 2016.

Evidently, trade policy reforms in Georgia has been part of broader institutional reforms and the EU has had effect on the instruments and agents of trade policy. As a result differences in the regulatory environment of trade between EU and Georgia have been reduced and trade policy instruments harmonized. Implementation of trade policy reforms is still going on through institution importation. It sometimes involves mutual recognition and adoption of international norms (such as incorporation of WTO articles into DCFTA). Other strategies are adoption of similar norms (as it has taken place in customs procedure reforms), direct transfer of rules and requirements and/or step by step harmonization (as it has taken place in services trade).

The role of trade policy making agencies should be not only involvement in fulfilment of DCFTA obligations, but also management of the possible risks that arise during institution importation. They involve mistakes made in a attempt to implement changes in a short period of time and dragging on reforms as a result of interest group activities.

Keywords: Import of institutions, trade policy, institutional approximation, Georgia, EU

JEL Codes: F10, F13, F42